საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№01/502-16 "12" 02 2016 წ

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს

გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია") უახლოეს პერიოდში გეგმავს კომისიის მიერ წარმოებულ უწყებრივ რეესტრში არსებული გარკვეული მონაც ემების კომისიი ს ოფიციალუ რი ვებ -გვერდის მეშვ ეობით ელ ექტრონულ ფორმატში გასაჯაროებას.

ვინაიდან რეესტრის ბაზა შეიცავს ზოგიერთ კონფიდენციალურ ინფორმაციას, იგეგმება ბაზიდან გასაჯაროებისთვის დაშვებული მონაცემების გამოცალკევება და მათი კომისიის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება, როგორც ვებ ფორმატში, ისე ჩამოსატვირთი ელექტრონული ცხრილის ფორმატში (MS Excel, ან csv).

ამ პროექტის ფარგლებში კომისიამ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს გაუგზავნა (2015 წლის 26 ნოემბერი და განმეორებით 2016 წლის 28 იანვარი) გასაჯაროებისთვის დაშვებული მონაცემების ჩამონათვალი და მიმართა თხოვნით შენიშვნებისა და შესაძლო რეკომენდაციების მოწოდების თაობაზე.

გასაჯაროებისთვის დაშვებული მონაცემების ჩამონათვალი სრულად მოიცავს თქვენ მიერ ხსენებულ პუნქტებს, გარდა ინფორმაციისა არასამაუწყებლო (სამსახურეობრივი დანიშნულების) სიხშირეების და რადიოელექტრონული მოწყობილობების შესახებ.

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

კომისიის აზრით, არასამაუწყებლო (სამსახურეობრივი დანიშნულების) სიხშირეების სრული ბადის გასაჯაროება, თავის მხრივ გამოიწვევს გამოყენებაში არსებული, მაგრამ დაფარული (სახელმწიფო, ან კომერციული საიდუმლოების შემცველი) სიხშირული რესურსის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალულია. რადიოელექტრონული მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია შეიცავს განლაგების გეოგრაფიულ მონაცემებს, რისმა გასაჯაროებამაც, შესაძლოა გაზარდოს მოსალოდნელი რისკფაქტორები. ამასთან ერთად, მოწყობილობების ტექნიკური მახასიათებლები მფლობელებისთვის შესაძლოა კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენდეს და ასეთ შემთხვევაში მათი ღიად გამოქვეყნება კანონმდებლობით აკრძალულია.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან მიღებული პასუხის გათვალისწინებით, კომისია გამოაქვეყნებს მონაცემებს და მზად არის ითანამშრომლოს მის ხელთ არსებული მონაცემების ღია მონაცემთა პორტალზე (www.data.gov.ge) განსათავსებლად და პორტალზე განთავსებასთან დაკავშირებული კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად.



კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე